ISSN 0132-6015

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნიანგი

1

გამოცემის 57-ე წელი, (№ 1563)· იანვარი, 1980, ფასი 20 კაპ.

КОНТРОЛЬНЫЕ ЭКЗЕМПЛЯРЫ

ნახ. ვ. ფირცხალავასი

რესპუბლიკის გარეთ ქორვაჭართა მიერ ციტრუსების გატანის უკანასკნელი ხერხი.

ნახ. მ. აბაშიძისა

— იმ ჩვენს ფერმას თუ დროზე არ მიხედეთ, ამას გაზაფხულამდე აქედან ვერ მოვიცილებთ!

ინტერვიუ დათა თუთაშხიასთან

— დათა, ბატონო, რას მეტყვით მიწერებზე?

— ცუდია მიწერები. მეც ბევრი რამე მომაწერეს — ყაჩაღობდნენ ჩემი სახელით. მოისპოს უნდა მიწერები და ისინიც, ხელს რომ აფარებენ მიწერებს.

— მანქანის ქურდებზე რა აზრის ბრძანდებით? ნამეტანი გახშირდა ამ ბოლოს!

— რა გითხრათ, ტია, ბატონო! ქურდის მანქანაც ბევრი მოიპარეს ქურდებმა! ძნელია ახლა გარჩევა, ქურდის მანქანას იპარავენ ქურდები თუ პატიოსანი კაცისას. ისე, ქურდის ქურდი ცხონდეს უნდა. ჩემსავით ფიქრობს, ალბათ, წესრიგის ზოგიერთი დამცველი და არ იკლავს თავს ქურდის ძებნით. ასეა ეს!

— თქვენ ხომ არ წასწრებიხართ პირადად მანქანის ქურდობას?

— ვნახე მე მაგ! გვარიან ოჯახში გაზრდილი ბოვში იპარავდა „ჟიგულს". დავინახე, რა მარჯვედ ახსნა საიდუმლო საკეტები!

— როგორ გაგიძლოთ მერე გულმა?

— იცით თქვენ, ტია, ბატონო, არ მიყვარს სხვის საქმეში ჩარევა. ვცადე მე მაგ, მაგრამ იმის პატრონმა, ვინც მე დავარიგე, აქეთ დამარიგა, — ვინ გთხოვა, ჩემს საქმეში რომ ეჩრებიო?!

— თქვენს კოლეგებზე რა აზრის ბრძანდებით?

— ვის გულისხმობთ ჩემს კოლეგებში, ტია, ბატონო? აბრაგი ვარ მე და არ მიყვარს წუწკი ყაჩაღი და ჯიბის ქურდი. მაგრამ უფრო რთულადაა ახლა საქმე, მე მგონია. ყაჩაღი ქვია აგერ რაჟა სარჩიმელიას, მაგრამ თბილისის სახალხო დეპუტატების 26 კომისრის სახელობის რაიალმასკომის ყოფილი თავმჯდომარე იუზა კობახიძე მონაფედ არ აიყვანდა ჩვენს რაჟას. გეკითხებით ახლა მე თქვენ: რომელი უფრო მეტი ყაჩაღია? უთოფო ყაჩაღია უფრო საშიში! ასეა ეს!

— გმადლობთ, დათა ბატონო, ინტერვიუსათვის!

— არ მჭირდება მე თქვენი მადლობა! არავის არ ვეუბნები მე მადლობას და არც თქვენი მადლობა მჭირდება მე! ასეა ეს!

ტია-ტია

1980-ს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვილი აკურთხეს შენს კვერთხით,
ჩვენს თვალწინ ფეხზე დადგა და —
მშვიდობით, ნდობით, სიკეთით
ეს ათწლეულიც დამრგვალდა!

სხვა ვინ გვყავს, აბა, შენებრი?! —
ეცადე, ზრდას არ დაუკლო! —
ეს დედამიწა — ბებერი —
შენ უნდა გააჭაბუკო!

საქმეში კი არ გეჩრებით,
კი არ ვთამაშობთ სიტყვითა, —
წარმოგიდგებით ჩვენც ჩვენი
მშობელი რესპუბლიკითა!

რაკი მოხვედი ღიღინით,
გულუხვი და სულნაღდი, —
ღიმილის ჯილა-გვირგვინი
საქართველოსაც დაადგი!

არც მარტო ჩაი, არც ღვინო,
დღეს უფრო მოგვწონს ჩვენ მისი
გალაღებული მიმინო —
გამარჯვებული სინდისი!

მარად სიახლის წრთობაში
ვაჟკაცურ ოფლის მოდენით
მოვიდა ჯილდო — კომკავშირს
შვენის ლენინის ორდენი!

ავთვალი გასკდეს შურითა:
არ გვიცხოვრია წყალობით!
ერი მაღლდება შუბლითა
და არა ყელყელაობით!

შენს ძმებს ჩვენც უღელს ვუწევდით,
შვიდ გამარჯვებას ჩვენც ვჭედდით,
მოგანდვეს ახლა ხუთწლედის
ბოლო სიტყვა და ბეჭედი!

არ ვიტკეპნებით, არ ვიცდით,
ვართ შენს ძაპვაში ჩართულნი,
კაციც, გეგმაც და ხარისხიც
დაგიხვდა წელგამართული!

იზრდება ჩვენი სამკალი
და წვლილი არა მცირედი! —
მიტომ გვაბია მხარ-მკლავი,
გვაქვს უკეთესის იმედი!

უპოვნი აზრის მპოვნელი, —
ხმაწაუსვლელი, ხმიერი, —
დღე უნდა მოგვცე ყოველი —
ენგურჰესივით ძლიერი!

არ ყოფნის ნიჭსა გზა ვიწრო!
გვყავს ხუთეული ნანატრი! —
ჭადრაკში უკვე დაიწყო
ქართული მატრიარქატი!

მოდი, გულდაგულ დალოცე
შენი დღეების ლაშქარი!
შენს პირს, შენს საქმეს საკოცნელს, —
წელო, — თაფლი და შაქარი!

ზაზა კაციაშვილი

ფარმან ომაროვი: „საქსოფლტექნიკის“ ბოლნისის განყოფილების მძღოლი, სახელმწიფო ავტომანქანით მოძრავ-მექანიზებული კანტორიდან მიიღო 1,750 კილოგრამი ცემენტი და სამშენებლო ობიექტზე რომ უნდა წაეღო, გზა „შეეშალა“ და საკუთარ სახლში მიიტანა.

დავით ბეჟუაშვილი: ტრიკოტაჟის გაერთიანების გლდანის ფაბრიკის სამკერვალო საამქროს მუშა. 6.500 მანეთის თეთრეული შავ ნაჭრებში გაახვია და რეალიზაციას უპირებდა, მაგრამ წაასხრეს და ნინ თეთრი ქაღალდი დაუდეს ახსნა-განმარტების დასანერად.

ლეონტი აკოფია: ცნობილი უსაქმური ზუგდიდის რაიონის სოფელ დარჩელიდან. ერევანში იყიდა 32 ნავთეურა ზუგდიდში უშეშოდ დარჩენილთა „პატივსაცემად“. ქალაქის თბომეურნეობის მუშაკებმა არ აპატიეს პრესტიჟის შელახვა (ადრეც იყო ნასამართლევი სპეკულაციისათვის).

ალექსანდრე ქანტარია: სასოფლო მშენებლობის სამინისტროს სამტრედიის მოძრავ-მექანიზებული კოლონის მექანიკოსი, ხობის რაიონის სოფელ ქვემო ქვალონის მკვიდრი. შეთავსებით ჯანდაცვასაც ემსახურება. ერთხელ შუბლის ძარღვი, ანუ სინდისის საზომი გაუწყდა და თბილისში 260 მანეთის ღირებულების სიცხის საზომი, ანუ თერმომეტრი იყიდა, რათა ხობის რაიონი „მოემარაგებინა“. ახლა თვითონ მას უსინჯავენ სიცხეს.

აკოფ ტეპულიანი: ბევრფულიანად ცნობილი. გაგრის რაიონის სოფელ ხეივანში მუშაობდა საბყობის გამგედ. დაიტაცა 1.210 მანეთის სახელმწიფო ქონება. ამჟამად გატაცებულია დეტექტივებით.

ჯამგულ გახოკია, ალექსანდრე ზავიალოვი: ერთი — სოხუმის საზკვების გაგრის № 25 სასადილოს მზარეული, მეორე — სოხუმის საგზაო მშენებლობის კანტორის ტარქტორისტის მოწაფე. ორივენი ქურდობას დანაფებულნი. მოიპარეს ჩემოდანი — შიგ ჩადებული 800 მანეთითა და დოკუმენტებით. მათ საქმეს დოკუმენტურად სნავლობენ.

მამუკა ქართველიშვილი: დროებით უმუშევარი ვაი-თბილისელი. სწორედ მამუკა ქართველიშვილისთანაზე იტყვიან ხოლმე, შემირცხვენია შენისთანა ქართველიო — მოქალაქე გოჩა ურუშაძეს ჯერ მოპარა „ჟიგული“, მერე 2000 მანეთად მიპყიდა.

გოჩა ურუშაძე: თბილისის მაუდ-კამვოლის კომბინატის თანამშრომელი. რაც ვაუკეთეს, იმაზე მეტის ღირსი — ჩუმად დაამყარა ფარული კონტაქტი 16-17 ნლის დამწყებ ქურდებთან და საკუთარი ავტომანქანა 2000 მანეთად შეისყიდა.

მიხეილ ბალდასაროვი, მიხეილ ბეჟუაშვილი: ვაი და უითბილისელები, ორივე ნასამართლევი. ცდილობდნენ, გატაცებული ავტომანქანის მფლობელისათვის 2.000 მანეთი გამოეძალათ. ამ საქმემ ისინი იქამდე გაიტაცა, სანამ ორივეს ხელი არ სტაცეს.

ნუგზარ კუკოშიძე: სწავლობდა თბილისის მანქანათმშენებლობის ტექნიკუმში, ამასთან, პარალელურად, დაამთავრა ქუჩის ნებაყოფლობითი უნივერსიტეტი და შარშან ბრწყინვალედ ჩააბარა ციხეში მისაღები გამოცდები — თბილისში ჩამოსულ სტუმარ ქალს ილუზიონისტის ოსტატობით გამოგლიჯა ხელიდან ჩანთა, რომელშიც 425 მანეთი იდო.

ევგენია გოგიტიძე, ღამარა ჯაფარიძე, თემურ კახიძე: პირველი და მეორე — ქ. ქობულეთის № 1 და № 3, მესამე — ქ. ბათუმის № 3 ბენზინის ჩამომსხმელი სადგურების ოპერატორები. უტალონოდ ყიდდნენ ბენზინს ნაღდ ფულზე, „ხათრით“.

რევაზ ყანჩაველი: ზესტაფონის სპორტგაქროების № 35 მაღაზიის გამგე, „ჟიგულის“ დეფიციტური ნანილების და ნიტროსაღებავების გადამალვის დიდოსტატი.

ნახ. ნ. ბალდასაროვი

სულიერი დაავადებები

მექრთამეობა

ეპიდემიური დაავადებაა და ხელის ჭუჭყით ვრცელდება, ოღონდ, სხეულის ნაცვლად, სულში იბუდებს. მის განვითარებას ხელს უწყობს დაგროვების სურვილი, თავზე და ნამუსზე ხელის აღება.

გამოსაცნობი ნიშნები: მექრთამეს ურცხვი და მსუნაგი გამოხედვა, გადარეცხილი სახე და ხარბი თვალები აქვს. ადამიანებს სახეში კი არა, ხელებში შესცქერის. ხელგაშლილობას მხოლოდ მაშინ იჩენს, როცა ფულს აწვდიან. დანარჩენ დროს ხელმოჭერილია. ტანჯავს უკმარობის გრძნობა — რაც უფრო მეტს იხვეჭს, მით უფრო უკმაყოფილოა. დაქვეითებულია გონებრივად, უჭირს გაყოფა და გამოკლება.

პირველ ხანებში ავადმყოფი მოუსვენრად გრძნობს თავს, ოდნავ აწუხებს სინდისის ქენჯნა, უფრო მეტად კი — შიში, გრძნობს ხელისა და გულის კანკალს, ეჩვენება, რომ ფული დანომრილია, მაგრამ, საბედნიეროდ, მერე ყველაფერი კალაპოტში დგება და ქრთამის აღება არა მარტო ახარებს, ეამაყება კიდეც.

ავადმყოფს უვითარდება მადა, რომელიც გაუმაძღრობაში გადადის, თანდათან კარგავს მოძრაობის უნარს, რადგან მსხვერპლი თავისი ფეხით მიდის მასთან.

დაავადების მკურნალობას ხელს უშლის ის, რომ სნეული თვით უწყობს ხელს მის გართულებას, ნიღბავს მას, ამიტომ შესაბამისი ორგანოები ცდილობენ, დროულად დაუსვან დიაგნოზი, რათა მოსპონ ინფექციის წყარო, თორემ, შეიძლება, სენმა ავადმყოფი ფიზიკურადაც მოსპოს.

ამ ბოლო წლებში მექრთამეობით დაავადებულს შიში დასჩემდა, ფულის უკმარისობასთან ერთად ჰაერის უკმარისობასაც განიცდის, ისედაც ხანმოკლე ძილი სიზმრებად ექცა და მაშინაც რევიზია, მილიცია, ციხე და გამომძიებელი ელანდება, ამიტომაც ბევრმა თვითგანკურნებას მიჰყო ხელი — მშვიდი ძილი და ხელფასზე ცხოვრება არჩია.

ალმანზორ თავაძე

სარეკლამაციო რეკლიკა

ჩვენს პროდუქციას, ზოგიერთს
იტაცებს რეკლამაცია:
რეკლამაცია ახურავს,
რეკლამაცია აცვია!..

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღ ი ა ბ ა რ ა თ ი

თბილისის სახალხო დეპუტატთა საკალაქო საბჭოს აღმასკომის კინოფიკაციის სამმართველოს უფროსს — ამხ. ოთარ ანდრიას ძე თოლორაიას

ეროვნული ბიბლიოთეკა

— თბილად ჩაიცვი, სასტუმრო-ში ადამილს ვერ იმოვებ!

— ზამთარში, ფერის რომ ჩაუელი, ავირჩიოთ გაკეთილა კარ დაკავიყოდეს!

— აკატაოოფილკატრიბეფეი კარ შეხვიდეთ, იქ ფერი არა ყოფილ!

ნახ. ბ. ფირცხალავა

„სიცრუე და ორპირობა ავნებს ხორცსა, მერმე სულსა“.

ზოთა რუსთაველი

ბავშვის საერთაშორისო წელს როცა თვალს გადავავლებთ, მადლიერების გრძნობით ვივსებით ის ადამიანების მიმართ, ვინც ზრუნვა და სიყვარული არ მოაკლო ნორჩებს, ვინც განუხრელად იცავდა დედათა და ბავშვთა უფლებებსა და პრივილეგიებს.

ასეთ ადამიანთა შორის გვეგულებით თქვენც, პატივცემულო ოთარ, რამეთუ თქვენდამი დაქვემდებარებულმა კინოთეატრებმა ამ მიმართებით ბევრი კარგი ღონისძიება განახორციელეს.

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია თქვენი პედაგოგურ-ადმინისტრატორული აღლუო, რამაც მიგახვედრთო, რომ ბავშვისათვის ყველაზე მიმზიდველი სათამაშო საპპერო ფერადი ბუშტია და მასზე გადაიტანეთ მთავარი ყურადღება. მაგრამ ბუშტიც არის და ბუშტიც! თქვენ ნოვაგორობა კი იმით გამოიხატა, რომ ჩვეულებრივი ბუშტების გარდა, ბალლების გასართობად საპნის ბუშტიც გამოიყენეთ, რითაც აღტაცებაში მოიყვანეთ ყველა (საპნის ბუშტი ხომ უფრო იაფი ჯდებას!). ასეთი ბუშტები, მოგეხსენებათ, მალე სცდება. მაგრამ თქვენს მიერ აღმოჩენილი საპნის ბუშტი სხვა ფერად ბუშტებს გამძლეობითაც გაეპაჯერა და, საბოლოოდ, მოინადირა მხახვლთა გულები (მათთან ერთად — ჩ ე მ ი �і).

შეიძლება, უცბად ვერ გაიხსენოთ და იკითხოთ, ეს რომელ ბუშტზე მელაპარაკებიანართ?! თუ ასეა, ახლავე მოგახსენებთ, თანაც პრესაში გამოქვეყნებული თქვენივე სიტყვებით: „.. **ლედანის დასახლებაში გაიხსნა კინოთეატრი „მეგობრობა“.**

მაყურებელთა განკარგულებაშია ორი დარბაზი: მოზრდილთა და ბავშვთა. ბავშვის საერთაშორისო წელთან დაკავშირებით ეს კარგი სარუჯარია, ყმანვილები აქ ფილმს მათთვის განკუთვნილ დარბაზში ნახავენ, ხოლო თუ პატარა ჭირვეულობას დაინყებს, მშობელს საშუალება ექნება კეთილმოწყობილ ბავშვთა ოთახში მიაბაროს იგი ფილმის დამთავრებამდე“.

გულს გარეთ შეიძლება გაიკვირვოთ, აქ საპნის ბუშტს სად ხედავენო, მაგრამ თუ საკუთარ თავს მაინც გამოუტყდებით, ის „ბავშვთა ოთახი“ დაგეხატებათ თვალწინ და თანდათან საპნის ბუშტს ფორმამა მიიღებს.

1979 წლის აპრილის ბოლოსთვის ყველაფერი მზად იყო, რომ საზეიმო ვითარებაში გახსნილიყო კინოთეატრი „მეგობრობა“, მაგრამ თქვენ, ბავშვების კეთილდღეობისათვის დღენიადგ მზრუნველს, მაინც გულს გაკლდათ რაღაც. სწორედ ამან გაფიქრებინათ ბავშვთა ოთახის გახსნა. კოლეგების განცვიფრება არად ჩაგდეთ და მაშინვე შეუდექით თქვენი გაბედული ჩანაფიქრის ხორცშესხმას: ჩამოუარეთ გლდანის დასახლების ბაგა-ბაღებს და სასწრაფოდ ინახოვრეთ სათამაშოები და 2 ცალი ღამის ჭურჭელი.

ყოველივე ეს (კინოთეატრის დირექტორის ტელეფონორიც) მხატვრისათვის განკუთვნილ ოთახში დაალაგებინეთ. მერე რა, რომ კინოთეატრის საშტატო განრიგიი არ იყო გათვალისწინებული არც პედაგოგ-აღმზრდელი და არც ექიმი? თქვენ აქაც იპოვეთ გამოსავალი — განსხლის დღისთვის (30 აპრილი) სპეციალურად გამოიძახეთ კინოთეატრ „ნაკადულის“ დირექტორი, ქალბატონი მ. ნიკოლეიშვილი და სთხოვეთ, გაეთამაშებინა პედაგოგ-აღმზრდელის როლი!.

ყველაფერმა თქვენს მიერ შედგენილი სცენარის მიხედვით ჩაიარა.

კინოთეატრის გახსნაზე მონვეულ სპეციალურ სტუმრებს თქვენ თავმომწონედ მიუძღოდით წინ და როცა „ბავშვთა ოთახის“ დათვალიერების ჯერი დადგა, ავტორის სპეციალურ როლი შეიფერეთ!

ვის ატყუებდით, ვის უხვევდით თვალს, პატივცემულო ოთარ?!

ერთ კვირაზე მეტხანს მიმზიდველად ტოკავდა გაბერილი საპნის ბუშტი — „ბავშვთა ოთახი“. ამ ხნის განმავლობაში პედაგოგ-აღმზრდელის როლს კინოთეატრ „ნაკადულის“ თანამშრომელი ქალი **დ. ძამუკაშვილი** თამაშობდა.

გაზეთში მოიარა ცნობამ, რომ კინოთეატრების მუშაობაში დანერგილია დიდი სიახლე!

ბავშვებსაც ნამდვილი ეგონათ მათთვის განკუთვნილი სათამაშოებით სავსე ოთახი. აბა, რა იცოდნენ პატარებმა, რომ ნოსნოვარი ავვეჯით განყოფილი 25 კვ. მეტრი ფართობის ოთახი მათ ვერ დაიტევდა, კიდეც რომ დაეტია, იქ არც პედაგოგი დახვდებოდათ (დ. ძამუკაშვილი წავიდა!), არც ექიმი და არც მომვლელი. ამასთან, ტუალეტიც არსად იყო მათთვის გამოყოფილი. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, სამედიცინო შემოწმების გარეშე ბავშვების ასე შემოხვევითი თავმოყრა ინფექციური დაავადებების საშიშროებას წარმოშობს და სასტიკადაა აკრძალული ჯგანმრთელობის დაცვის შესაბამისი ორგანოების მიერ.

ამიტომაც იყო, რომ 11 მაისს კინოთეატრ „მეგობრობაში“ გულისხეთქვით მოცვივდნენ ლენინის სახელობის რაიონის სანეპიდსადგურის თანამშრომლები, რომელთაც შეადგინეს აქტი და კატეგორიულად მოითხოვეს „ბავშვთა ოთახის“ დახურვა. ეს იყო საპნის ბუშტისათვის მიყენებული პირველი ჩხვლეტა, მაგრამ თქვენი, როგორც ავტორის, სასახელოდ უნდა ითქვას, რომ იგი მაინც არ გასკდა და განაგრძობდა არსებობას, სანამ ავეიჯი პატრონებმა არ მოითხოვეს.

აქ კი იქუხა საპნის ბუშტმა და გაწბილებულმა ბავშვებმა მისკან ნაკუნებიც ვეღარ იპოვეს.

როდისმე ცირკში ატრაქციონს თუ დასწრებიხართ, პატივცემულო ოთარ?

განკრთნილი ცხოველები, მანეეჯზე გამოსულისას, ყოველი ნომრის შესრულების შემდეგ, მომთვინიერებლისგან შეეძახისა და შაერის კვნიტს მოითხოვენ და ღებულობენ კიდეც, მაგრამ თუ რომელიმე მათგანს ნომერი არ გამოუვიდა, მაშინ შეეძახისა და შაერის კვნიტის მოლებისაგან თავს იკავებს, განზე დგება ხოლმე.

დიახ, შეეძახის და მატერიალურ წახალისებას საქმით და მხოლოდ საქმით უნდა დამსახურება და არა თვალთმაქცობითა და ოინბაზობით!

თქვენი ნ ი ა ნ გ ი

კაცი ბჭობდა და ღმერთი იცინოდაო!..

თბილისში, გ უ ნ ა ძ ი ვ ი ლ ი ს ქუჩაზე „№ 11“ აწერია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა საცხოვრებელ სახლს. ამ საცხოვრებელ სახლში, იხე როგორც სხვა საცხოვრებელ სახლებში, მცხოვრებლები ცხოვრობენ, ხოლო ქალაქში მცხოვრებთა ახირებული სურვილი მოგებსენებათ: სულს ლევენ სუფთა ჰაერზე და ქრიალით ქულა-ბმაური, ღმერთმა შეუფდოთ, იხეთ უხერხულ დგომაზე დაუდგამთ ეს ასოციაციანი შენობა, რომ ქუჩიდან სანტიმეტრითაც კი არ არის დაწეული. ერთი სიტკვით, მანქანების ფლეთბოსგან დაჩეფული მტვერი სულ ამ სახლის ფერფლზე ხართხლეს ნაწილდება, ხოლო მაყოფლის ამხელტილი ტროლეიბუსის ბაგირი ორნგეს ფრტკვამს.

უსაშველო ჩვენს მტერს დამპალთოს ღმერთმა და ამ „ხაქმესაც ეშველეთოდა, კაცს კარ თვალით რომ შემოეხედა. გურამიშვილის ქუჩა უნიკალიტეტის სახლის წინ გამრეფდებულია. თუ გასწორებდნენ (რაკ ძალიან იოლი გახლავთ), სახლს წინ პატარა ეზო გაუჩნდებოდა, მანქანები ისე ახლოს არ ჩოჩდებდნენ ფ, ვინ იცის, ბინებში გამოსაბოლქვი გაზის რაოდენობა, შეიძლება, შემცირებულიო კიდეც.

კაცი ბჭობდა და ღმერთი იცინოდაო. მცხოვრებთა პირველ კოლეტიტურ განცხადებას დეშილით უპასუხეს, მეორე განცხადებასაც დეშილით უპასუხეს და მეხამეხაც. უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლები მეოთხე განცხადების დაწერას რომ ეპირებდნენ, მოეცივლნენ თბილისის ეზოტეტელთა ეზოტეტელთა მეხეურება და მტერისგან ხელშეუხებელად გამეტეხდეს: „არ გაკმაუოდლები ხომ დუშილი პასუხსად, ალარ გაათავეთ ხომ განცხადებების წერა, ახლა გიჩვენებთ სეირსო!“ ელფინსსწრაფიად მოშლეს პატარა სკვერი, დაადეს ახალტი და წეზეთის ბუტეტელილან სულ რადაც ახეზერის ბაბალზე ცალმხრივი მიძრობა გამართეს. უბრალოდ რომ ვთქვათ, ახლა ნეკეეში მიმავალმა მანქანებმაც გურამიშვილის ქუჩის № 11 სახლის წინ უნდა გაიარონ. იმ „ღონისძიებამ“ გაიარეცეა ბმაური და გაიარბაკა ზეკეი.

უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა დასჯის ამ ფორმამ ბევრი უდანაშაულო შეიწირა. მძღოლები აშკარად გამოთქვამენ პროტესტს. ბოლოსდაბოლოს, იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ვიდაცებს უნდათ № 11 სახლის მცხოვრებლებმა ეტეტი მტერი ულაპარ, ნეკეეოს�d მიმავალი მანქანები იძულებულნი ხდებიან გურამიშვილის ქუჩაზე ჩამოიტეხონ ხილი საპრთალოდან მომავალნი, იმის ნაცვლად, რომ პირდაპირ მოძრაობდნენ, მარკვნივ უხვევენ და ფეკეზე შუქს მოლოდინში მძღოლები ათას ეხიპოვნო ფიქრს ვიიელებენ „მაძიებელი ვინეზის პატრონ“ ბუნის ზოგნენსმოგებელთა მისამართით.

„ტეტერნი დახახრჩობად გიგეწერეს, ეარეს ხარ ვეიზამენო“, ამბობენ № 11-ის მცხოვრენი და კოლეტიტური განცხადებების წერის ტეტს უმზადებენ. იმეფი აქეთ, რომ მათი განცხადებებს ბოლ ზოგ ნეკეს შეიგეუბეს, ნეკეთ ეზოტეტელების მეხეურთა რბილ ხკმენს მიწვევენ და, რბილად რომ ვთქვათ, „განაკუნენებულ პირებს“ გულს ვიუვრილებს, რათა გიხს მოეგონ.

ღმერთმა იმეფი ნუ მოუშალოთ!

რევაზ მიშველაძე

ნახ. ა. კანდელაკისა

— კი მაგრამ, თითქოს ორივე ერთია და ფასი რატომ კარის სხვა-ოგა?

— ამას, ბატონო, ხუთფერ ენდა ჩაკეზის დარტყმა, მაგას — ორაშრ

ნიანგს უპასუხეგენ

იუსტიციის სამინისტრო:

„ნიანგის“ გასული წლის № 13 ნომერში დაიბეჭდა ნერილი „ნოტარიუსის მოსაცდელში“, ავადაც აღნიშნული იყო, რომ ქ. თბილისში სანოტარო კანტორებში დიდი რიგებია.

სანოტარო კანტორების მიერ მოსახლეობის მომსახურების გაუმჯობესების მიზნით გაგტარდა ათული რიგი ღონისძიებები: რესპუბლიკის ნოტარიუსთა რიცხვი 19 ერთეულით გაიზარდა. თბილისში, ნაკლებად 15-სა მუშაობს 20 სახელმწიფო ნოტარიუსი. ტარდება ღონისძიებანი კატეგორიები სანოტარო მოქმედებათა ოდენობის შემცირების მიზნით.

საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტრო ელვაცდ ეცადინ, გაკეთარს ღონისძიებანი მოსახლეობის იურიდიული მომსახურების, გაუმჯობესებისათვის.

გეგეჭკორის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომი:

მე-14 ნომერში გამოქვეყნებულ ნერილში — „არნეიის ირაოდან“ ბოტანერი ფაქტები ნესორა.

მოლეტული ზოგესა შედეგად მდგომარეობა გამოსწორდა და სეზონის შემდეგომ პერიოდში ჩაეა ნედლეულის დაყოვნებით მოლება-გადამუშავების ეაქტების ადგილი არ ჰქონია.

დაკინყეთ სოფელ მუზურჩის საკჯარო ობიექტების კაპიტალური შეკეთება.

სასოფლო მეურნეობის სამინისტრო:

მე-17 ნომერში გამოქვეყნებული ეარეკგაურა — „ჩანნილი საქონელი“, ამხელდ. მეცხოველეობის მნიშვნელოვანი ობიექტების ჩაბარების ვადებსა გაყ-ალურებს. ფაქტს.

ბაბაშის მეცხოველეობის კომბლეკსი ჩაბარებულია გასული წლის მესამე კვარტალში.

ზნაურის მეცხოველეობის კომბლექსი მოლებულია ექსპლოატაციაში და ნიმდინარეობს გაშვება-გამართვის, სამუშაოები. საყმსლოტაციოდ გადაცემულია ცირინეული მეცხოველეობის კომბლექსიც.

ბაბაშის და ზნაურის მეცხოველეობის კომბლექსები გაგმრთი უნდა დამთავრებულიყო 1978 წლის მეოთხე კვარტალში.

ნიანგი გასაროლებზე

ჟარელის რაიონში საგანგებო როლად ჩამოსულმა, მანქანა სამკერ გიორგი-გამოკარე სოფელ ბრეთის და ზემო ხვედურეთის თანაარ გზებზე, ნიანგი კაბინიდან ანტენის ქალობაზე მჭოლა ამომეფრინა, მაგრამ, ოქვენც არ მომიკვდეთ! არა, რამე ნაგებობა დამიხახავს ისეთი, სოფლის ცენტრად რომ დადგულ ბდა. ისევ კოლეგა-კოლეგიანი მივავენი. ზემო ხვედურეთში ერთი ძველი შენობა ვხეზე. მოუტ ყრეს შემოსეგას გადაჩენილი, ოღონდ საკმაოდ შეკანკალებული. გარს კუარე, მაგრამ ღია ადგილი ვერსად ვუპოვე. მერე დაფშხალულ კედლებს ავხედე და უკან დავიხიე. შემშინდა. თავზე არ ჩამომეკეცეს-მეთქი. მე კი გავეცალე, მაგრამ ერთიც ვიხილეთ, ნანერიდან დაბრუნებული გეერდებაქეებული კამეჩი გაგზავნოს, მერე საით გინდა, გაეცალ! თურმე ნუ იტყვეთ, ეს დაყრუებული, კარფანჯრებდავსებული ნაგებობა ფოტოსტუდია და შემახვედი სალარო ადგილსაყოფელი ყოფილა. ამა მშრომლები ოროზე გასულიან და იქვე, ელენე ელჩიბეგაშვილთან უფრესთან ელჩები. თავშესაფარი მოგვეცეო და მასთან შეხვედ ლან მდგომრეობაზე.

— ბაი ნანგინ გეკეთ ინ ეამი დარდიანდა. კონკრეტი ოთარ ნამიტარებია.

ბრეთელებს ბრე ანუ ეჩიან სოფლის ცენტრისაკენ. 1973 წლის 30 მარტ. შემოქმედების ისეთ ცეცხლი დაენთიანა ეკუბში, რომ სულ გადაუბუგავს ინანარობა. ამ მინისტრაციული შენობის ადგილას მხოლოდ ეკლეი დაფანტი მინიორი მოჩანს. მინა ნანგამ ანარგიზებია. ფოტო გამახსენა ეს ფოტო, ანუ მოეთანი. ბარიოდ რომ ნარგიზებია. ... ტარებისთვის ყოფილა გინუეენ ლი. ინვა. ბეკერ ... ბალის შეხობა ეუგია, მაგრამ ნახა ... ...

ნახ. ჯ. ლოლუასი



— რატომ მოჭრეს ამდენი ხეხილი?!
— ნაკრძალი შემოლობეს.

სამტრედიავ, სამტრედიავ!..

იყო ასეთი სიმღერა ორმოცდაათიან წლებში
ახლა მას არავინ მღერის, არც არავის ახსოვს.
თუმცა, რომ ახსოვდეთ კიდეც, სამტრედიის ავტოსადგურში მესვლისას სიმღერის ხასიათზე ვერ დადგებიან!

ალბათ, გინახავთ მდინარის კობრი, რომელსაც შესანავად ამზადებენ და ქერცლს აცლიან. სწორედ ამნაირი ქერცლითაა დაფარული მთელი ჭერი, ამას დაუმატეთ ჩაყვითლებული, დალაქავებული ადგილები, ჭუჭყიანი იატაკი, გაზიანი წყლის ჯიხური, ჯიხური კი არა, რაღაც ძველი ყუთებით შემორაგული პატარა ბინძური მოედანი. სადაც მაღალ-მაღალი კაცი დგას და მუშტარს უხმობს,მოდით, დალიეთო!

გაჭირვებული მგზავრი იძულებულია, ეს ხმობა ყურად იღოს, ოღონდ სანამ პირთან მიიტანდეს, ჭიქა ხელისგულით უნდა დაფაროს, თორემ პუზს რა პასუხს მოსთხოვ, შიგ რომ ჩაგიფრინდეს?!

არ კიცი, სვამენ თუ არა ამ წყალს აქაური ვაჭრობის მესვეურნი. მე კი, ჩემდათავად, წყურვილით რომ ვიხრჩობოდე, ჯიხურისაკენ არ გავიხედავ.

აქვე, კედლებზე, იმ ადგილას, სადაც წვიმას ვერ ჩამოუტანებია, გაკრულია ავტოსადგურის კოლექტივის ვალდებულება — ამას და ამას კიზამთო, ამას და ამას გავაკეთებთო. ის კი არა, აქაური ხელმძღვანელები ისე გათამამებულან, ასეთი პუნქტიც კი შეუტანიათ ვალდებულებებში: **„კოლექტივი იბრძვის სანიმუშო საზოგადოებრივი წესრიგის დასაცავად, რისთვისაც ავამაღლებთ (დაიმახსოვრეთ ეს სიტყვა!) მგზავრთა კულტურული მომსახურების დონეს“.**

ეს ცინიზმი ხომ არ არის?

კარგი, სადგურის ხელმძღვანელობა უდარდელობას იჩენს, მაგრამ რას აკეთებს სახალხო კონტროლის ჯგუფი? აღბათ, არაფერს. თუმცა, ყოველი შემთხვევისათვის, თავის სტენდზე პატარა ყუთი მიუმაგრებია, აქაოდა, წინადადებები და საჩივრები ჩაყარეთ შიგო. მართალია, ყუთი 2 მეტრის სიმაღლეზე მოუთავსებიათ და ამას რომ მიწვდე, კარგა ტანადი კალათბურთელი უნდა იყო, მაგრამ ყუთი ხომ არის?

მე ასეთი წინადადება მაქვს: სახალხო ჯგუფის კონტროლორს, თვით ავტოსადგურის ხელმძღვანელობას უნდა დაევალოს ამ ყუთში ბარათების ჩაშვება. თუკი ამას უკიბოდ ვერ მოახერხებენ, მაშინ თვითონვე დაასუფთაონ იატაკი, შეაკეთონ ჭერი, დალიონ ამ ჯიხურის წყალი, სტენდი ცოტა ძირს ჩამოსწიონ. თუ არა და, მე ვიკისრებ ამ საქმეს.

ივერი ტაბიძე

ასე გამოიყურება სამტრედიის ავტოსადგურის გუფეტი.

ფერადი ჭელევიზორის ჩივილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბევრს ახსოვს თბილისის თავზე, მთაწმინდაზე, ძველი სატელევიზიო ანძა, რომელიც კეთილსინდისიერად იდგა მთელი საქართველოს ტელემაყურებელთა სამსახურში. მთაწმინდის თავზე ახალი ტელეანძა დააშენტაეს. ძველი კი გორის რაიონში გადმოიტანეს.

მორწმუნეებს, ალბათ, ჯვარცმული ქრისტეს წმინდა ნაწილები ისეთი რუდუნებით არ ჩამოუსვენებიათ გოლგოთიდან, როგორც ნამთაწმინდარი ანძა გადააციმციმეს გორელებმა ახალდაბის ტყეში. მოშრიალე მუხების ახლოს. ფეხზე დააყენეს, აღმართეს და მოთმინებით ელოდნენ სასწაულს.

იდგნენ და ელოდნენ.

კაცმა რომ თქვას, რას ვერჩით — მოსკოვის პირველ პროგრამასაც ვიღებთ და თბილისისასაც, მაგრამ მიღებაც არის და ძალებაც. სხვათა შორის, მიღება ბევრნაირი არსებობს. მოგეხსენებათ, ძუნწი კბილს რომ იღებს, ფულს არ იღებს, ბიუროკრატი ხელქვეითს რომ იღებს, გაზეთებიდან თავს არ იღებს, გორის სატელევიზიო სადგური დროდადრო არც გამოსახულებას იღებს, არც ტელეფონის ყურმილს — რა უნდა ელაპარაკო?! 2-27-22 ხშირად არის დაზიანებული, რაც თავის მხრივ ზიანს აყენებს ტელემაყურებელთა ნერვიულ სისტემას.

ერთი სიტყვით, გადაცემების ხარისხი არ მივარგა. აბა, რა ხარისხზე უნდა ვილაპარაკოთ, როცა სადგურში ფერადი საკონტროლო ტელევიზორიც არ გააჩნიათ, არ მოჰყვაო ძირითად დანადგარს. მოსკოვის პროგრამის გადასაცემი აპარატურის ძირითადი მოწყობილობა ამ რამდენიმე ხნის წინ დაშლილა მხიარულთა და საზრიანთა კლუბივით და სათადარიგოს ამუშავებენ. ძირითადს ლამპის ბუდე გაუფუჭდა. დაშალეს მთელი აპარატურა, ჩადეს ძანქანაში, ჩაიტანეს გროზნოს რადიოტექნიკურ ქარხანაში ნაწილების შეცვლის, ბუდის გამოცვლის, საერთოდ, კარგად გაწყობის მიზნით. მაგრამ არ მიიღო მშობლიურმა ბუდემ თავისი სისხლი და ხორცი, როგორც მოხვალ რკინაო, ისე წახვალ შინაო. ამიტომ მუშაობს ახლა სათადარიგო.

ხანდახან სადგური ისეთ რამეს ჩამადენინებს, სულ რომ არ მეკადრება. მე კადრებად ვიქცევი, მიჯრილ კადრებად, და ჩემი პატრონი მაშინ დამიწყებს ლანძღვას, გაიტანეს ბურთი, შე ოჯახქორო, შენაო.

კადრები კი...

კადრები ნამდვილად სჭირდება ჩვენს საქმეს. სპეციალისტების ნაკლებობას ჩვენ ვგრძნობთ ყველაზე უწინ, როგორც ფრინველები გრძნობენ ალაგ-ალაგ გამოცხადებული წვიმის მოახლოებას და დაბლა დაფრინავენ ხოლმე...

ჩვენი პატრონები ამბობენ, სადგურსაც უნდა პატრონი ეგეც კაცია და თავზე ქუდი ხურავსო. ქუდში, რა თქმა უნდა ჩრდილს გულისხმობენ.

მოიხმინა ჯემალ ინჯიამ
(ქ. გორი)

ნახ. ჭ. დეისაძისა



უსიტყვოდ

45
Y. 11

ევროპის პროგრესული საზოგადოებრიობა აღშფოთებით შეხვდა და-
სავლეთის კავშირის გადაწყვეტილებას — განალაგოს ევროპის ტერიტორიაზე
„პერშინგ-2" ტიპის რაკეტები.

მთავარი რედაქტორის მოადგილე ზაურ ბოლქვაძე სარედაქციო კოლეგია: ზ. კაციაშვილი, ჯ. ლოლუა, გ. ლომიძე, ნ. მალაზონია (მხატვ. რედ.), გ. ნიშნიანიძე. გ. სიხარულიძე (პ/მგ. მდივანი), გ. ფირცხალავა, ო. ჭელიძე

● ტექნიკური რედაქტორი მ. კუხალაშვილი, ● სატირისა და იუმორის ჟურნალი „ნიანგი". ● თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 42, ● საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობა, გადაეცა ასაწყობად 7/XII-79 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 18/I-80 წ., ქაღალდის ზომა 70×108 1/8 ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 2. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 1.7 ● საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. 14. ● შეკვ. 3024. უე 00605. ტირ. 160.000: Тбилиси, пр. Руставели № 42, Сатирико-юмористический журнал «Нианги», ● Издательство ЦК КП Грузии. ● Типография Издательства ЦК КП Грузии. Тбилиси, ул. Ленина № 14.

ტელეფონები: 99-76-69, 93-19-42, 93-10-78, 93-49-32. რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.

ნახატი თემების ავტორები: მ. ჯანიძე, ნ. ბართაია, ზ. ბიტუაშვილი, ჯ. ლეჩხაძე, ბ. ჭელიძე, რ. ოჩიგავაშვილი, დ. ჩიქვანი-